DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

Open Society Georgia Foundation

სამეცნიერო ხარისხის მოპოვება (ხანგძლივობა 3 წელი)
Promotionsstipendien (DAAD/OSI)

მიზნობრივი ჯგუფი:

გერმანიაში სამეცნიერო ხარისხის მოპოვების მსურველებმა განაცხადი შეიძლება შემოიტანონ შემდეგ სპეციალობებზე: **პოლიტოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ეკონომიკა, სახელმწიფო მართვა, განათლების მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ფილოსოფია.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული მაგისტრის დიპლომი. ამას გარდა ისინი უკვე უნდა იმყოფებოდნენ დოქტორანტურის პირველ ან მეორე კურსზე ან ჰქონდეთ მაძიებლის სტატუსი. მათი თემა დამტკიცებულ უნდა იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

კონკურსის ყველა მონაწილეს საბუთების შემოტანის მომენტში უკვე უნდა ჰქონდეს კონტაქტი სავარაუდო გერმანელ ხელმძღვანელ პროფესორთან.

ხსენებულ სტიპენდიაზე განაცხადის შემოტანა არ შეიძლება, თუკი კანდიდადი განაცხადის შემოტანის მომენტში გერმანიაში იმყოფება **მაგისტრატურის მეორე კურსზე.**

ენის ცოდნა:

გერმანიაში სასწავლებლად გერმანული ენის კარგი ცოდნა აუცილებელი პირობაა.

თუმცა შერჩევისას უპირატესობა ენიჭება კონკურსანტის პროფესიულ კვალიფიკაციასა და ინტელექტუალურ შესაბამისობას, მაგრამ ასევე უნდა გამოჩნდეს, რომ სამი ან ოთხთვიანი ენის კურსის გავლის შემდეგ კონკურსანტი დააკმაყოფილებს გერმანიაში სწავლისათვის საჭირო დონეს.

კონკურსის ყველა მონაწილე ენის ტესტირებას გაივლის **2010 წლის ნოემბერში** (დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართებზე).

ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად გერმანიაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე კომისიის გადაწვეტილებით გათვალისწინებული იქნება ორთვიანი კურსი სამშობლოში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ორ ან ოთხთვიანი კურსის გავლა გერმანიაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ამ კურსებში მონაწილეობა სავალდებულოა.

საჭირო საბუთები:

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ოთხ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, სამი ასლი). მოწმობები ნოტარიუსის გარდა შესაძლოა დამოწმდეს შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიერ. ფორმულარი უნდა შეივსოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე. თარგმანები სრულდება გერმანულ ან ინგლისურ ენაზე.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები ჩაბარებული უნდა იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობის მიხედვით!

- ონლაინ სახის სააპლიკაციო ფორმულარი. კონკურსანტმა სრულყოფილად უნდა შეავსოს PDF-ფორმატში წარმოდგენილი ფორმულარი, ამობეჭდოს იგი და წარმოადგინოს სხვა საბუთებთან ერთად. იხ. DAAD-ს ვებ-გვერდი: www.ic.daad.de/tbilissi - სტიპენდიები)
- სამი ფოტოსურათი (გთხოვთ სურათი ჩააკრათ სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ ადგილას)
- ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
- სამეცნიერო პუბლიკაციების სია
- დაგეგმილი სადისერტაციო პროგრამის დაწვრილებითი აღწერა (კვლევითი და სამუშაო გეგმა)

DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

Open Society Georgia Foundation

- გერმანელი პროფესორის თანხმობა ხელმძღვანელობაზე, რომელიც კონკრეტულად ეხება სადისერტაციო მასალას
- ორი ქართველი პროფესორის რეკომენდაცია (ივსება შესაბამისი ფორმულარი. იხ. DAAD-ს ვებ-გვერდი: www.ic.daad.de/tbilissi)
- ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ
  - დიპლომები ნიშნების ფურცელთან ერთად (ბაკალავრი, მაგისტრი ან 5-წლიანი) (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიუსის ან უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმება). ინგლისურ ენაზე გაცემული დოკუმენტები თარგმანს აღარ საჭიროებს.
  - საშუალო სკოლის ატესტატი. დამოწმებული ასლი და დამოწმებული თარგმანი (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიული დამოწმება).
  - ენის სერტიფიკატი.
    გერმანული ენის შემთხვევაში: TestDaF, DSH, DSD, KDS, ZPM, ZOP მათთვის, ვისაც არ აქვს გერმანული ენის სერტიფიკატი, ნოემბრის თვეში გაიმართება ენის ტესტი. ენის ტესტზე რეგისტრაცია სავალდებულოა (www.ondaf.de) ონკურსანტებს ბათუმიდან და ქუთაისიდან საშუალება ეძლევათ გაიარონ ენის ტესტი ადგილზე.
    ინგლისური ენის შემთხვევაში: TOEFLS, IELTS, CFA, CAE, CPE
  - პრაქტიკის დამადასტურებელი ცნობა.

კონკურსის ყველა მონაწილე, რომელიც **2010 წლის 29 ოქტომბრამდე** ჩააბარებს სრულყოფილ საბუთებს, 2010 წლის იანვარში მოწვეულ იქნება გასაუბრებაზე.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მოცემული თანმიმდევრობით !
არასრული საბუთები არ განიხილება !
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე !

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 29 ოქტომბერი 2010 (18:00 სთ)

თბილისი, ზანდუკელის 16 / ტელ: 920-926 / მიღების საათები: 14.00-18.00 სთ.

www.ic.daad.de/tbilissi